ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის (შემდგომში – ინსტიტუტი) მიზნებს, საქმიანობის ძირათად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობას და სხვა საკითხებს.

2. ფუნდამენტური და ინტერდისციპლინური მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დებულებას ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, თანხმობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2.1. ინსტიტუტის მისია

1. ინსტიტუტი აწარმოებს საერთაშორისო დონის სამეცნიერო კვლევებს თანამედროვე მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის დარგში.

2. ინსტიტუტი განახორციელებს მათემატიკურ მეთოდებზე დაფუძნებული ინტერდისციპლინური და გამოყენებითი კვლევების კოორდინაციას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში.

3. ინსტიტუტი უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო და კვლევითი პროგრამებისა და სილაბუსების შედგენას და შემდგომ პერიოდულ განახლებას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

4. ინსტიტუტის თანამშრომლები ჩართულნი არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის სწავლების პროცესში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე შრომითი კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.

5. ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ სახელმძღვანელოების, ლექციების კურსებისა და მეთოდური მასალების მომზადებაში.

2.2. ინსტიტუტის თვალთახედვა

ინსტიტუტის მოღვაწეობის სამი ძირითადი მიზანი და მიმართულებაა:

1. ქართული მათემატიკური სკოლის ტრადიციების შენარჩუნება თანამედროვე დონეზე და შემდგომი განვითარება ფუნდამენტურ და ინტერდისციპლინურ კვლევებში;

2. თანამედროვე მათემატიკის პრიორიტეტული მიმართულებების კვლევა არსებული საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის აქტიური გამოყენებით;

3. მათემატიკური განათლების დონის ამაღლება, მათემატიკური მეთოდოლოგიისა და მიდგომების დანერგვა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ამ მიზნების მისაღწევად ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ითვალისწინებს ოთხ სამეცნიერო-კვლევით პროგრამას:

1. სიმრავლეთა თეორია და მათემატიკის საფუძვლები;

2. გეომეტრია, ტოპოლოგია და გლობალური ანალიზი;

3. უწყვეტ გარემოთა მექანიკა;

4. დიფერენციალური განტოლებები და არაწრფივი დინამიკა.

2.3. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ინსტიტუტის კვლევის ძირითადი მიმართულებები ჩამოყალიბებულია შემდეგი ოთხი პრინციპის საფუძველზე:

1. ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური კვლევები მსოფლიოს რამდენიმე წამყვან მათემატიკურ ცენტრში;

2. ფაკულტეტის წევრებს აქვთ ამ მიმართულებებით კვლევის საკმარისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და მნიშვნელოვანი შედეგები;

3. ყველა ეს მიმართულება ეფუძნება ფუნდამენტურ მათემატიკურ თეორიებს და, ამავე დროს, პერსპექტიულია პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით;

4. ფაკულტეტის წევრებს აქვთ სტაბილური კონტაქტები ამ დარგების წამყვან უცხოელ სპეციალისტებთან და თანამშრომლობენ მათთან.

2. 5 ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

1. ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების წარმოება;

2. განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები და/ან მკვლევრები, რომლებიც ქმნიან ინსტიტუტის საბჭოს.

4. ინსტიტუტის საბჭო ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

ინსტიტუტს არ გააჩნია შიდა სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი/დირექტორები და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.

2. ინსტიტუტის საბჭო ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს პირველივე სხდომაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

3. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსიტუტის წევრების 2/3.

4. თუ ინსიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამა შედგება რამდენიმე თანაბარი მნიშვნელობის პროექტისაგან, შესაძლებელია ინსტიტუტის რამდენიმე დირექტორის არჩევა.

ინსტიტუტის საბჭო:

1. ფარული კენჭისყრით ირჩევს ინსტიტუტის დირექტორს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად;

2. განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

3. ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

4. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათთდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

5. ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.

ინსტიტუტის დირექტორი:

1. ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

2. აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და ინსტიტუტის დებულებას;

3. აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევრებისა და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;

4. ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო.

2. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევრისა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

3. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „საბჭოს გადაწყვეტილების" სახით.

მუხლი 6. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი.

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში.

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები, მკვლევრები და სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული;

3. ინსტიტუტის და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 8. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

ინსტიტუტის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 9. ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.